პროექტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 15.07.2015, სარეგისტრაციო კოდი: 130000000.05.001.017864) შეტანილ იქნეს ცვლილება და 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახურში ზოგიერთ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატი სამსახურში სამუშაოდ მიღებამდე ან მიღების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დანაყოფში/დაწესებულებაში გადის სპეციალური მომზადების სათანადო საგანმანათლებლო პროგრამას ან კურსს. სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დანაყოფში/დაწესებულებაში ან სხვა სასწავლო/საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირის მომზადება, გადამზადება ან კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.“.

მუხლი 2.

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულის - სპეციალური მომზადების ცენტრის უფლებამონაცვლედ (გარდა ამ ერთეულის გაუქმებამდე წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებებისა (მათ შორის, შრომის ანაზღაურება, სხვა საქონელი და მომსახურება) ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

2. სათანადო სამართლებრივი აქტების გამოცემამდე/მიღებამდე, სპეციალური პროფესიული განათლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა შეიძლება დარეგულირდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით.

3. იმ პირებს, რომლებიც გადიან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულის - სპეციალური მომზადების ცენტრის პროგრამას, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ შეუნარჩუნდეთ შესაბამისი სტატუსი.

მუხლი 3

ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**